№ 100

შაბათი, 14 მაისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 100

შაბათი, 14 მაისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

მოსკოვის ურთიერთთა შორის ჭირნახულის სეტყვისაგან

დამზღვეველ საზოგადოების

**წარმომადგენელისაგან**

კავკასიაში ვენახების პატრონების სურვილისა თანახმად, რომელთაც მოინდომეს თავიანთ ვენახების დაზღვევა, **მოსკოვის დამზღვეველ საზოგადოებამ** გადასწყვიტა შეუდგეს დაზღვევას სიუკეთესო მოსავლისას, (ვენახისა, სვიისა, თამბაქოს და ბამბის პლანტაციებისა და სხვ). და თავისი განყოფილებაც დააარსოს ტფილისში, თუ დასაზღვევი ფული აიწევს 500,000 მანეთამდე და თუ ამ ფულიდგან დაზღვევის დასაწყებად შემოტანილ იქნება ხსენებულ ჯამის 3% საწევრო გადასახადისა (მე-40 §-ი წესდებისა).

რადგანაც ძალიან ახლოვებულია ჭირნახულის გამანადგურებელ სეტყვის დრო, ამიტომ მოვიწვევ ბ-ნთ ბაღ-ვენახების პატრონთ, რომელთაც თავიანთ მამულების დაზღვევის სურვილი უკვე აღიარეს და ჯერ არ შემოუტანიათ განცხადება, რომ დააჩქარონ შემოტანა საწევრო ფულისა, რომლის გადახდის შესამსუბუქებლად ვადა არის დანიშნული და შეუძლიანთ 4—8 წლამდე ნაწილ-ნაწილად გადახდა, შემოსატან ფულის რაოდენობისდა გვარად.

საწევრო ფულს ვიღებ თვით მე, ვაძლევ წესდებასა და ბლანკებს და აგრეთვე ყოველსავე საჭირო განმარტება-ახსნას საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10—12 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა, აგრედვე „სევერნი ნომრებში" 2—4 საათამდე.

აქავე შეიძლება დაზღვევაც ნათესობისა. საწევრო ფულს იღებენ აგრეთვე ამ საზოგადოების აგენტები.

დამზღვეველ საზოგადოების წარმომადგენელი, ინსპექტორი
ვ. მ. ოკულიჩი
(10—1177—4)

**ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლის თანამდებობის ალმასრულებელი** ამით აუწყებს თავად-აზნაურობას ტფილისის გუბერნიისას, რომ თავად-აზნაურობის საგუბერნიო **კრება, შესდგება 28 მაისს** ამა 1894 წლისას ტფილისის კრებულის სადგომში, გოლოვინის პროსპექტზედ.

(3—1)

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

**№ 8**

**ჰაერი და სითბო**

ქივოტოვსკისა

ნათარგმნი გ. შარაშიძის მიერ

(15 სურათითურთ)

ფასი 15 კაპეიკი

წიგნი ისყიდება

საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, სადაც წიგნების ვაჭრობაა

„წიგნების გამომცემელის ქუთაისის ამხანაგობის" წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია 25 მაისს, ოთხშაბათს, საღამოს 7-ს საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრების საგნები არიან:

1. განხილვა და დამტკიცება 1893 წლის ანგარიშისა.
2. ხარჯთ-აღრიცხვა 1894 წლისა.
3. გამგეობის მოხსენება.
4. 1893 წლის მოგების განაწილება.
5. მიღება ახალის წევრებისა.
6. არჩევა: გამგეობის, სარედაქციო და სარევიზიო წევრთა.

## ტფილისი, 14 მაისს

—

გუშინდელ სხდომაზე კრების თავმჯდომარემ წააკითხვინა მდივანს ის მუხლები კანონისა, რომელშიც აღნიშნულია და ნათლად გამორკვეული როგორც მოვალეობა კრების წევრისა და თავმჯდომარისა, აგრეთვე იმათი უფლებაც.

ამ გვარი განკარგულება ცხადად ამტკიცებს, რომ თავადს ანდრონიკაშვილს მტკიცედ შეუგნია საჭიროება კრებაში სამაგალითო წესის დადგენისა და ამ აზრის სისრულეში მოყვანას, როგორც ეტყობა, თავადი კიდეც შესძლებს.

თავის უფლებისა და მოვალეობის ცოდნა ყოველთვის კარგია, მაგრამ განსხვავებულად საჭიროა ეს ჩვენებურ კრებათა წევრთათვის, რომელთაც ხშირად გაიტაცებს ხოლმე სიფიცხე.

როდესაც თითოეული წევრი დარწმუნებული იქნება, რომ მცირეოდენი წესის დარღვევაც-კი დაუსჯელად არ ჩაუვლის, მაშინ ეს აზრი ძალაუნებურად დამამშვიდებელს გავლენას იქონიებს იმის ხასიათზე. დასამტკიცებლად აიღეთ, როგორი საკვირველი წესიერებაა სახელმწიფო დაწესებულებაში, თუნდა ხუთასი კაციც იყოს რომელსამე კრებაზე, და შემდეგ გაიხსენეთ ქუთაისის საბანკო კრებები, სადაც თავმჯდომარეს არავითარი გავლენა არ ჰქონდა.

უეჭველია, ასეთი ცხადი განსხვავება წესისა ერთსა და მეორე ალაგს მიეწერება მთლად იმას, რომ სახელმწიფო დაწესებულებაში კაცს მორიდება აქვს კანონისა და საზოგადო დაწესებულებაში-კი ზოგიერთს ჰგონია დაუსჯელად შეიძლება მოიქცეს ისე, როგორც საკუთარი სურვილი და მადა ამხელს!

თუმცა კანონები, რომელიც გუშინ იყო წაკითხული, დიდი ხანია დაბეჭდილია კანონთა კრებულში, მაგრამ არ იქნება ურიგო, რომ დანარჩენმა ჩვენმა საზოგადო კრებებმაც გაიცნოს საფუძვლიანად.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ პროტესტი ბ-ნის კეზელისა, იმის შესახებ, რომ ზოგიერთი გაზეთები ორატორებს პოლემიკას უცხადებენ და კარგი იქნება, რომ ამის უფლება მწერლებს ჩამოერთვასო.

ჩვენ კარგად ვერ გავიგეთ ბ-ნის კეზელის სიტყვის აზრი; თუ ორატორი იმას ჰბრძანებს, რომ ანგარიში კრებისა შეუმცდარად უნდა იყოს შემდგარიო—ეს ხომ უეჭველი ჭეშმარიტებაა. მაგრამ, თუ რომელიმე გაზეთი შესცდება ხოლმე და ზოგი რამ არა ნამდვილი ამბავი გამოერევა ანგარიშში, ეს სამწუხაროა, ხოლო ადვილად ასაცდენი, რადგანაც მეორე დღეს იმისი გასწორება ყოვლად შესაძლებელია.

ხოლო თუ ბ-ნი კეზელი, რომელიც ამასთანავე მწერალიც არის, ცოდვადა სთვლის მწერალისაგან თავისს აზრის გამოცხადებას საგანთა, აზრთა და პიროვნებათა შესახებ და—ვიხმაროთ იმისივე ლექსი—პოლემიკას გაუწევს ხოლმე რომელსამე ორატორს, ნუ თუ ეს აღკრძალულია და „ტფილისის ლისტოკის" თანამშრომელისათვის ახალი და საკვირველი რამ არის?

ყოველ შემთხვევაში, თუ ის აზრი აქვს სახეში პატივცემულს ბანკის წევრს, რომ მწერალთა აღუკრძალოს კრების ორატორების შესახებ თავისი აზრი გამოსთქვან, და ამისათვის საჩივარით მიიქცა კრების თავმჯდომარის მიმართ, უსათუოდ შემცდარი განზრახვაა. ისეთს ახირებულს საჩივარს თავმჯდომარე, რასაკვირველია, ვერ მიიღებდა, რადგანაც ეს საგანი მისის უფლების წრეში სრულიად არ შედის.

კიდევ ვეტყვით ჩვენს ტფილისელ მწერალს: ჯერ რა ასეთი განუსაზღვრელი ასპარეზი აქვს ჩვენს მწერლობას, რა ისეთს დამოუკიდებელს გზაზედა სდგას, რომ იმ მცირე უფლების წინააღმდეგ, რომელიც კანონს მიუნიჭებია მისთვის, საჭირო და სასარგებლო იყოს გამოლაშქრება?

იქნება სხვა ხელობის კაცს ასეთის დაუფიქრებელის აზრის წამოსროლა მიეტევებოდეს, მაგრამ მწერალისათვის-კი ეს შესაწყნარებელი არ არის!

მეველე

## საშუალება მეურნეობის ცოდნის გასავრცელებლად ხალხში.

დიდად საჭიროა, რომ ჩვენ ხალხს ჰქონდეს მეურნეობის სწავლა-განათლება. თუმცა ეს აზრი მტკიცეა, მაგრამ სამეურნეო სწავლის გავრცელებისათვის ჩვენ, მამულის მეპატრონენი, ძალიან ცოტასა ვფიქრობთ. დღეს ლაპარაკი მარტო იმაზედაა, რომ იმათ შვილებს მიეცეთ უმაღლესი სწავლა-განათლება, რომ თავისი ცოდნით გახდნენ სახელმწიფო მმართველ კაცებათ და, სხვა ცოდნათა შორის, შეისწავლონ მეურნეობაც. ამ ოცნებაში, ამ აუხსნელ ფიქრებში გაივლის ფუჭად დრო-ჟამი და ჩვენი შვილები, ღონე მოკლებულნი დარჩებიან გაუნათლებელნი, უცოდინარნი.

ჩვენს მშვენიერის ბუნებით შემკულს და მდიდარს მამულებს დიდი მოვლა და ცოდნა ესჭირვება. შიმშილობამ ბევრი მამულის მეპატრონე დააფიქრა. მიწას წავართვით ყოველი სიკეთე და უკან-კი არა დაუბრუნეთ-რა მისდა გასაძლიერებლად, გასანოყიერებლად ჩვენ საკეთილოდ. მიწა გამოიფიტა ჩვენის უსწავლელობისა და უხერხობის გამო. ჩვენში რომ იყოს სხვა-და-სხვა კუთხეში სამეურნეო სკოლები და სამაგალითო მოწყობილი ფერმები, შემკული სხვა-და-სხვა მცენარეებით, რომელნიც კაცს ქონებას უმატებს, მაშინ ამ მდგომარეობაში მომწყვდეულნი აღარ ვიქნებოდით. ამისთანა სკოლებსა და ფერმებში ჩვენი შვილები ვარჯიშობითა და სათეორიო სწავლით საფუძვლიან რეალურ ცოდნას მიიღებდენ, იმ ცოდნას ცხოვრებაში მოიხმარებდნენ და დღითი-დღე თავის მამულს გააძლიერებდნენ სარჩო-ქონების შესაძენად. პირველ დასაწყისის სკოლები ამ საშუალებას მოკლებულნი არიან: იქიდგან იბადებიან უთავ-ბოლო მჯდაბნავი ხალხი, რომელთაც არ იციან საით ეცნენ, სად მიიდრიკონ თავი, რომ მოიპოვონ დღიური ლუკმა პური.

დღეს ჩვენს მხარეს ეწვია სხვა უბედურებაც. იგი დიდს განსაცდელშია. ერთმა თვალ-უჩინარმა მწერმა, ჭიამ—ფილოქსერამ შემუსრა, ძირს დასცა, გაახმო მთელის ევროპის ვენახები და თავი დაგვიკრა, გვესტუმრა. რა მოგველის ჩვენ—იმას მომავალი გვიჩვენებს. მარტო ის არის ნამდვილი, რომ ერთი ნაწილი კავკასიისა, მთელის ქუთაისის გუბერნია, იმისი ვენახები შემუსვრილია ფილოქსერით. როგორც გამოჩენილ სწავლულ პროფესორებმა: მარიონმა, კოვალევსკიმ, მელიქიშვილმა და ექიმმა გორვატმა გამოსთქვეს, ქუთაისის გუბერნიის ვენახები დიდს განსაცდელშია: იმათი დახსნა ფილოქსერისაგან ვერა ღონისძიებით ვერ შეიძლება. დღეს თუ ხვალ ამ მხარეს ვაზები სულ გადახმება.

ამისთანა გაჭირვება, საშინელი მდგომარეობა, ჩვენ მკვიდრთ სასოებას ამოუფხვრის. რომ კაცი მარდად დაუხვდეს თავის ბედს, საჭიროა, რომ მამაცი იყოს, აღიჭურვოს სამეურნეო სწავლით, რომ მომავალში ვაზის მაგივრად იმ მამულში, საც იგი ჰხარობდა, სხვა სასარგებლო მცენარე გააშენოს და გაამრავლოს.

ამისთანა სამეურნეო სწავლას მოგვცემენ პროფესსიანალურ თვისების სკოლები. ეს სკოლები ხალხს შეუყვარდება სულით და გულით, მიემხრობა და არარას დაზოგავს იმის კეთილ ყოფა-ცხოვრებისათვის. მხოლოდ საჭიროა, რომ ხალხს ვაჩვენოთ ადგილობრივ ამისთანა სასწავლებლების სიკეთე და დავარწმუნოთ, რომ სწავლაა პირველი ბურჯი კაცის ცხოვრებისა, პირველი მისი უკვდავი საუნჯე. როდესაც ხალხი შეითვისებს ამ ჭეშმარიტებას, გააუმჯობესებს თავისს ცხოვრებას, გამაგრდება წელში, გაავრცელებს ყოვლის საშუალებით სხვა-და-სხვა სასარგებლო სწავლასა და ცოდნას, მაშინ დაიბადება ჩვენში საყოველთაოდ კეთილდღეობა, მიეცემა ყველას ღონე კეთილად და პატიოსნად შეასრულოს თავისი წმიდა მოვალეობა მთავრობისა და საზოგადოების წინაშე.

ამ საქმის ფართოდ დამკვიდრებისათვის ყოვლად საჭიროა, რომ ჩვენმა ქართველ დედაკაცებმაც მიიღონ მონაწილეობა, შეიგნონ ხალხის გაჭირვება, დაეხმარონ იმაში და გაავრცელონ მათ შორის სამეურნეო სწავლა და ცოდნა. მონაწილეობას ჩვენის ქალებისას ამ შემთხვევაში, როგორც თანაშემწეთ მამაკაცისა და უპირატეს წევრთ ოჯახობისას, ექმნება დიდი გავლენა და შედეგი ადამიანთა ცხოვრებაში. ამისთვის ჩვენმა ქართველმა ქალებმა ზედ-მიწევნით უნდა შეისწავლონ სხვა-და-სხვა საგანი სამეურნეო სწავლა-მეცნიერებისა, სასოფლო მეურნეობის ეკონომია და სახლოსნობა. ასეთი სიკეთე ჩვენთვის დიდათ საჭიროა. ამისთვის, ყველა ქალების სასწავლებელში, საცა კი შეიძლება, უნდა იყოს მოწყობილი ფერმა, სადაც მოზარდი ყმაწვილ-ქალები ვარჯიშობით შეისწავლიან სხვა-და-სხვა სასარგებლო მცენარის მოვლა-მოშენებას. ჩვენი ყმაწვილი ქალები ვარჯიშობით და თეორიით შეიძენენ როგორც სამეურნო სწავლას, აგრეთვე ჯან-სიმრთელეს, რომელსაც ისინი დღეს აღევენ იმათთვის ცხოვრებაში გამოუყენებელ საგნების შესწავლას.

ჩვენს მოზარდს ქალებს ძალიან კარგად შეუძლიანთ ფუტკრის მოვლა-მოშენება, აბრეშუმის ჭიის მოვლა, ბოსტნის გაშენება, ბოსტნეულობის ხილის გახმობა იმ წესით, რა წესითაც ახმობენ სხვა განათლებულს ქვეყნებში, პიკულების გაკეთება; შეუძლიანთ მოიყვანონ ძვირფასი საატთიაქო წამლეულობის მცენარენი, გაამრავლონ შინაური ფრინველი, ერბო-ყველი გააკეთონ, შეისწავლონ საჭმელების გაკეთება მარტო იმ მცენარებიდგან, რომელთაც ისინი მოიყვანენ თავიანთ მამულში; მიიღონ სასოფლო მეურნეობის ეკონომიის და ანგარიშის სწავლა და ცოდნა.

მეურნეობის ცოდნით ქალი დაახლოვებული იქმნება ბუნებასთან, რომელიც კაცს გონებას უხსნის, აფხიზლებს, ამხნევებს, ჯან-მრთელობას უმატებს, აყვარებს თავის სამშობლოს, უკარგავს ცუდს აზრებს და ასწავლის, რა საშუალებით შეუძლიან კაცს მამული გამოიყენოს, ვალები არ აიღოს და ბედნიერი ცხოვრება მოიპოვოს ამ ქვეყანაში.

როდესაც ჩვენში ამისთანა ცხოვრება შემოვა, მაშინ დედა-კაცი ფართო გზას აიჩენს, კეთილ საქმეს დაა-

დგება, და გაშორდება ქალაქის ბულვარებს, ლოტო-ქოლადის თამაშობას, სუფთად ჩაიცვამს თავის თითებით ნაკერ-ნაქსოვს ტანისამოსს, შეიღებს სიყრმით შესწავლის მეურნეობას, დედა-ენას, აღზრდის კეთილად და არ შემოსავს მდიდრულ ტანისამოსით, როგორც კუკებს, მოაშორებს ბლოტსა, ერვიეს, ჩარახჩიანს და სხვ.

დაფარული არავისთვინ არ არის, რომ დედა-კაცია ბურჯი ოჯახისა, საზოგადოებისა, იმას ბევრი კეთილი შეუძლიან, თუ მოინდომა, თუ კეთილს გზას დაადგა. მაგრამ რაჰქმნას: ძველსაც მოაკლდა და ახალიც ვერ შეისწავლა, ის ახალი რაც რეალურ სწავლა-მეცნიერების ნაყოფია, ღმერთი მოწყალეა, დედა-კაციც დღითი დღე ფხიზლდება, მხნეობას იჩენს, ერთმანეთს უახლოვდება, და აგდება ნამდვილს საქვეყნო კაცობრიობის აზრსა და ცხოვრებასა.

ი. წ.

# ახალი ამბავი

**** ქუთაისი: დიდად შევწუხდი ჩვენის ახალგაზდა ბელეტრისტის უდროვო გარდაცვალების გამო. ნინოშვილის ნიჭი დიდს იმედს იძლეოდა შემდეგისთვის.

დიმიტრი ერისთავი

**** ორშაბათს, 16 ამა მაისს, ქალაქის საბჭოს განსახილველად არის შემდეგი კითხვები:

1, მოხსენება ქალაქის მოურავისა შესახებ ხმოსანთა, რომელნიც არ დაესწრნენ კრებას 2 მაისს, 1894 წ.

2, მოხსენება კომისიისა შესახებ დაარსებისა თფილისში მეძავეთა ზედამხედველობისა (საქმის № 808).

3, მოხსენება ქალაქის ინჟენერისა შესახებ გაუმჯობესობისა და წესიერებაში მოყვანისა არხთა მილების წყობილებისა (საქმის № 810).

4, წინადადება ხმოსანის ბაბაევისა შესახებ კერძო შენობათა ზედამხედველობის დადგენისა (საქმის № 809).

5, არჩევა ქალაქის მდივნისა.

6, არჩევა ქალაქის დამფასებელ კანდიდატებისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

სხოლიო: თუ განხილვა ამ საგნებისა ვერ მოასწრეს დანიშნულ დღეს, მაშინ მათი განხილვა შემდეგი დღეებისათვის იქნება გადადებული.

**** დ. ჩხარი (ზემო იმერეთი): 2-ს მაისს ჩვენში რაღაც შემაძრუწუნებელი და უცნაური ქუხილი იყო: ზეციდგან მოგვესმოდა საზარელი გრგვინვა და გრიალი, რომელიც ნაკლებად ჰგავდა ჩვეულებრივ ქუხილის ხმას; მაგრამ ამაზე უფრო გასაოცარი ის იყო, რომ, რამდენჯერაც გაისმოდა ჰაერში ბდგვენა, იმდენჯერ სახლები აკვანსავით დაირწეოდა და ატოკდებოდა ხოლმე; ჭურჭელი თაროებიდგან ძირს სცვიოდა, იმსხვრეოდა. მოხუცებულნი გვარწმუნებდნენ, რომ არასოდეს ამ გვარს ქუხილს არ მოვსწრებივართ, არ გვახსოვს ისეთი ძლიერი მიწის ძვრა, როგორიც ამ ქუხილმა მოახდინა.

საზოგადოდ მაისი ჩვენსკენ წელს ჯერ-ჯერობით ულაზათო და უგემურია. ხან ჰქრის ქარი, რომელმაც ვაზის ნორჩს ფოთლებს დიდი ზიანი მისცა; ხან სწვიმს, ხან სდგას ივლისის სიცხეები და ხან მოქუშული დარები კაცს სულს უწუხებს; გარდა ამისა, მყუდრო და მზიანს ამინდებში ხშირად არის გამდგარი აქეთ-იქით იმისთანა სქელი, კომლის მზგავსი ბურუსი, რომ 4—5 ვერსის იქით აღარა მოსჩანს რა. შარშანდელ ცუდის მოსავლით დაზარალებულს ხალხს იქნებ როგორმე წლევანდელმა ძალიან საიმედო მოსავალმა გაამართვინოს წელი, თორემ თქვენს მტერს ის გაჭირვება, რომელშიაც ჩაცვივდებიან ზემო-იმერნი, თუ წელსაც უმტყუნა მოსავალმა.

**** როგორც „Тиф. Лис.“. გაუგონია მმართველობას განზრახვა აქვს ყოველ დაბაში ხარჯთ ამღები მოხელე (податной инспекторъ) უნდა დააყენოსო. ამისათვის ამგვარ მოხელეთა კანდიდატებად ბევრი ახალგაზდა არის ჩარიცხული და ზოგს კიდევაც ამ თანამდებობის აღსრულება აქვს მონდობილი; მაგ. ამ ჟამად ტფილისში ამ თანამდებობას ასრულებს დ. თ. ხოშტარია, რომელიც ამოწმებს ყველა ვაჭრის საქმეებსო.

—

### შეცდომის გასწორება

—

გუშინდელ მეთაურ წერილში შეცდომით არის მოხსენებული, რომ ბ-ნი გაბაშვილი, ვითომ ბანკის წესდების დარღვევად სთვლიდა კომიტეტის წევრის თ. ანდრონიკაშვილის არჩევას საზოგადო კრების თავმჯდომარედ. თუმცა ზემოხსენებული აზრი იყო წარმოთქმული და კიდევაც გამოიწვია მან კამათი, მაგრამ არა ბ-ნის გაბაშვილისაგან.

# დამაკვირდი

—

გონება ყოველთვის გულისაგან გასწევს სასწორს.

ლა-როშფუკო

**

ვინც ჩვენთვის სასიამოვნო რასმეს ამბობს, ჩვენ ის გვგონია ჭკვიანი.

**

ყოველი იგი არ არის მარგებელი, რაც გემრიელია,

მანტენი

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლიდგან, რომელიც დაარსდა 3 სექტემბერს 1883 წ., ხუთჯერ გამოსულან სწავლა დამთავრებული მოწაფენი, რიცხვით 21 მოსწავლე. სახელდობრ:

### 1889 წ.

1, ანდრონიკაშვილი ნიკოლოზ (კახელი), რომელიც იმავე სასწავლებელშია მევენახედ და ღვინის მკეთებლად. მან შეადგინა ქართულს ენაზედ სახელმძღვანელო მევენახობისა.

2. მეგრელიშვილი თევდორე (გურული) მიღებულია ნიკიტის სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით და დაასრულებს სწავლას ამა 1894 წ. ნოემბრის თვეში. ამავე წელს იგი დაჯილდოვებულ იქმნა სასწავლებლის საბჭოსაგან ჩინებულის სწავლის გამო.

3, ნახუცრიშვილი გიორგი (კახელი)—მიღებულ იქმნა განყოფილებაში ნიკიტის ბაღოსნობისა და ღვინის კეთების სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით, სწავლას დაამთავრებს ამ წლის ნოემბრის თვეში. ამ წელსავე დაჯილდოვებულ იქმნა სასწავლებლის საბჭოსაგან ჩინებულის სწავლის გამო.

4, თურქაძე ალექსი—ტფილისის მაზრის სოფ. მამკოდაში სცხოვრობს და საკუთარს მამულს უვლის,

### 1890 წ.

1, ხუნდაძე სიმონი (გურული),—მიღებულ იქმნა საბაღოსნო განყოფილებაში, ნიკიტის სასწავლებლისა დაამთავრებს სწავლას მომავალ 1895 წლის ნოემბერში. წრეულს კარგის სწავლისათვის იგი დაჯილდოვებულ იქმნა სასწავლებლის საბჭოსაგან.

2, რამიშვილი თეოფილე (გურული), საკუთარს მამულს უვლის.

3, წულაძე აპოლონი (გურული),—ფუტკრის გამშენებლადა და ეკონომად არის ქუთაისის ახლახან დაარსებულ სასოფლო სამეურნეო სასწავლებელში. შეადგინა სახელმძღვანელო ფუტკრის მოვლა-მოშენებისა ქართულს ენაზედ.

4, მაჭავარიანი ალექსანდრე,—ახლა საფილოქსერო დასში მსახურებს.

### 1891 წ.

1, ლონიაშვილი ლევანი (კახელი)—გაწესებულ იქმნა სარდაფში, რომელიც დაარსებულია საიმპერატორო ნიკიტის ბაღში, იმ აზრით, რომ პრაქტიკულად შეიძინოს ცოდნა. დაამთავრებს სწავლას ამ წლის ნოემბრის თვეში.

2, კალანდაძე ნესტორი (გურული)—მიღებულ იქმნა ნიკიტის სასწავლებლის საბაღოსნო განყოფილებაში.

3, იობიშვილი ნიკიფორე (გურული)—სენაკის სასწავლებელშია სასოფლო სამეურნეო საგნების მასწავლებლად.

4, ნიკოლაიშვილი სილოვანი (გურული)—ბათუმს ახლოს აქვს იჯარით აღებული ადგილი და აშენებს ხეხილის ბაღს.

### 1892 წ.

1, მარტონელიშვილი იოსები (მცხეთელი), სასულიერო უწყების თიანეთის სასწავლებელშია სამეურნეო საგნების მასწავლებლად.

2, მინდოდაური იოსება (ფშაველი), თავისს ოჯახში ჰმუშაობს მეურნეობაზედ.

3, თარხნიშვილი იორამი (ზემოქართლელი), მიღებულ იქმნა ნიკიტის სასწავლებელში.

4, კაკაბაძე გიორგი (მცხეთელი).—ღვინის კეთებას ადგას.

5, გუნბათაშვილი გიორგი (სოფ. წინამძღვარიანთ-კარელია), თავის ოჯახში მუშაობს.

### 1893 წ.

1, წიკლაური ალექსანდრე (ერწოელი) საფილოქსერო დასში მსახურებს.

2, მარტონელიშვილი პეტრე (მცხეთელი), დააარსა სადურგლო და საზეინკლო სახელოსნო და ამასთან ოჯახშიაც მამულს უვლის.

3, ნაკაშიძე კოსტანტინე (გურული) ოჯახში ჰმუშაობს.

4, მუხრანსკი დავითი (ქართლელი)—მიღებულ იქმნა საიმპერატორო ნიკიტის სასწავლებლის სარდაფში ღვინის კეთების პრაქტიკულად შესასწავლად.

***

არ მიგიკარებთ, სევდებო,
არ მოკვდეს ჩემი გულია:
მეც მატკბობს ჩემის ქვეყნისა
ლამაზი გაზაფხულია.

—

მეც დავკრებ ია-ვარდებსა,
ბულბულს მოვუსმენ სტვენასა,
მეც მაყრულს ვეტყვი ბუნების
ქორწილს და სულის ლხენასა!..

—

ვერ დამაღონებ!—თუ წარსულს
გადამიფურცლავ თვალთ წინა,
სულს ამიმაღლებ და გრძნობებს,
მადლით აიყვან ცამდინა;

—

თუ აწმყოს კვნესით, გულწუხდუდად
დაუწყებ გმობას, კიცხვასა—
გარდავშლი წიგნსა იმედთა,
დავუწყებ იმას კითხვასა.

—

ამოვიკითხავ: „თუ ახლა
გულს მიკლავს სევდა, ნაღველი,—
ხვალ ეს ყოველი გაჰქრება,
გაჰქრება მისი სახელი!

—

„თუ ახლა რაღაც დავა გვაქვს—
ეს ხომ სულ არაფერია: ა
საქმეს ავეუებს მეირფასი
ჩემი პატარა ერია!..“

თუ მომავალსა მაჩვენებ—
მადლობას გეტყვი გულითა:
ვიცი —მომიდის სიამით,
შვებით და სიხარულითა;

—

მას მოაქვს ჩემთვის გვირგვინი,
მზის სხივებისგან დაწნული,
მათ აკაშკაშებს დიდების
და ძლიერების მადლით...

—

არ მიგიკარებთ, სევდებო,
არ მოკვდეს ჩემი გულია:
მეც მატკბობს ჩემის ქვეყნისა
ლამაზი გაზაფხულია!..

გრ. აბაშიძე

# დეპეშა

12 მაისი

**პარიზი.** კარნომ მიიწვია ბურჟუა ელისეის სასახლეში, მაგრამ მან უარი სთქვა, სამინისტროს ვერ შევადგენო. მთავრობის მომხრე რესპუბლიკელთ პატივისცემა გამოუცხადეს კაზიმირ პერიეს და აღიარეს, რომ ჩვენ მომხრენი ვართ იმისთანა სამინისტროსი, როგორიც არის პერიეს სამინისტროვო; რადიკალთა მემარცხენენი იმაზედ დგანან, რომ უეჭველად საჭიროა ახალი პოლიტიკა ჩვენს მხარეს იქმნას გადმოტანილიო; უმწვერვალეს მემარცხენეთა დასი მხოლოდ იმ სამინისტროს მიემხრობა, რომელიც პატივისცემით მოეკიდება მუშაკთა უფლებასა და ინტერესებს და გამოუცხადებს, კლერიკალობას არას გზით არ დავუბრუნდებიო.

**ლონდონი.** დღეს გლადსტონს თვალის ოპერაცია გაუკეთეს; კატარაკტი მარჯვენა თვალიდგან მარჯვეთ გადააცალეს.

**პარიზი.** კარნომ ინახულა დიუპუი, რომელიც, როგორცა სჩანს, სამინისტროს შესადგენად ვერ გამოდგა.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ფ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ზროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

მ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| ოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |






ტფილისში ა. არისტაკოვის საათფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.



კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—195)


Доз. пенз. Тифлисъ, 13-го Мая 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.